



ანაკლიელთა მებრული და ლაგური
ხალხური სიმღერები



გიორგი კრავეიშვილი - ეთნომუსიკოლოგი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. 2010 წლიდან სოფელ-სოფელ იწერს და იკვლევს საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების - ლაზეთის, შავშეთის, ტაოს, კლარჯეთისა და ჰერეთის მუსიკალურ ფოლკლორს. აქვეყნებს არაერთ წერილსა და მოხსენებას, მონაწილეობს ტელე-რადიო გადაცემებში. 2018 წელს კონსერვატორიაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი ეთნომუსიკოლოგიის განრხით. 2015 წელს თამაზ კრავეიშვილთან ერთად დააარსა ფონდი „ჰეიამო“, რომლის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს

მოწყვეტილი კუთხეების (ლაზეთის, შავშეთის, ტაოს, კლარჯეთისა და ჰერეთის) ხალხური მუსიკის შესწავლა-ბეჭდვა-პოპულარიზაცია. ფონდმა 2020 წელს უკვე გამოსცა პირველი მონოგრაფია „საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები“. 2021 წელს გადაიღო პირველი ფილმი „კლარჯეთის მუსიკალური კულტურა“. გაიმარჯვა რამდენიმე საგრანტო კონკურსში. თვით სიტყვა „ჰეიამო“ შეძახილია და ლაზური შრომის სიმღერის სახელწოდება გახლავთ.

ანაკლითა მეგრული და ლაზური ხალხური სიმღერები

მიუხედავად იმისა, რომ უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ყურადღება ექცევა მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორს, ერთხმიანი აკვნის ნანების, დატირებისა და საბავშვო თამაშობების ჩაწერაზე აქამდე არავის უმუშავია. სწორედ ამ განზრახვით, მონაწილეობა მივიღე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „შენი ფოლკლორული იდეა“, პროექტის მიზანი იყო მეგრული აკვნის ნანების, ტირილებისა და საბავშვო თამაშობების, ხოლო ამასთან ერთად, ანაკლიაში ყველა ჟანრის ლაზური და მეგრული სიმღერების ფიქსირება. ჩემმა განაცხადმა გაიმარჯვა და 2019 წლის 13 ივლისს სამი კვირით მეგრული აკვნის ნანების, ტირილებისა და სათამაშო ჰანგების დასაფიქსირებლად თამაზ კრავეიშვილთან ერთად ვეწვიე ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებს. მიუხედავად იმისა რომ სამეგრელოს არაერთ სოფელში უძვირფასესი მასალა ჩავიწერე, ამ ეტაპზე საზოგადოების წინაშე მხოლოდ ანაკლიაში ფიქსირებული ნიმუშები მომყავს.

ზუგდიდის რაიონის სოფელი ანაკლია დიდი ისტორიის მქონე დასახლებაა. ანაკლიის მიდამოები დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდან. XVII საუკუნეში კი აშენდა ანაკლიის პორტი. XVIII საუკუნის დასაწყისში ანაკლია ოსმალებმა დაიპყრეს და ანაკლიის ციხე ააშენეს. ციხითა და პორტით სარგებლობდნენ არამარტო ოსმალების დამყრობელი ჯარი და საქართველოს ტყვეთა სყიდვით დაკავებულნი მოლალატეები, არამედ სხვადასხვა ეროვნების, უმთავრესად იტალიელი და ფრანგი მისიონერები და ვაჭრები. ანაკლიიდან ოსმალების განდევნა მეფის რუსეთმა მხოლოდ 1809 წელს შეძლო, თუმცა ციხისა და პორტის ფუნქციები უცვლელი დარჩა.

ანაკლია სამეგრელოში ერთადერთი სოფელია, რომელშიც 600-მდე მეგრულ ოჯახთან ერთად 30-მდე ლაზური ოჯახი ცხოვრობს. მე და ფოტოვიდეო ოპერატორმა თამაზ კრავეიშვილმა ანაკლიაში ვიმუშავეთ 2019 წლის 13-19 ივლისში. ლაზებისგან და მეგრელებისგან ჩავიწერე მხოლოდ ორი



ლაზური და რამდენიმე მეგრული სიმღერა. ამავე წლის აგვისტოსექტემბერში კი ვესტუმრე ბათუმსა და თბილისში მცხოვრებ ხნიერ ანაკლიელ ლაზებს და ჩავიწერე ორი ლაზური და ერთი მეგრული სიმღერა. 2020 წლის 9-14 აგვისტოში კვლავ ვიმყოფებოდი ანაკლიაში, თუმცა მეგრული სიმღერებიდან მხოლოდ ორიოდენიმეშის ფიქსირება შევძელი, ლაზურიდან კი ვერცერთის. ორიოდენიმეში კი სოციალური ქსელის მეშვეობით 2021 წელს დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბუკლეტში ძირითადად ლაზებზე ვსაუბრობ, მათივე სიმღერები დისკის ბოლოში მოვაქციე, რადგან

ივორ რაზმაძე | თამაზ კრავიშვილის ფოტო, 2019

ანაკლიელებისგან ჩაწერილი ვერცერთი ლაზური სიმღერა მხატვრულად ვერ გაუტოლდება მეგრული ფოლკლორის მარგალიტებს. ბუკლეტის შედგენისას კი ვიხელმძღვანელებ როგორც საკუთარი მასალით, ასევე 1890-1900-იანი წლების გაზეთებით („ივერია“ და „ცნობის ფურცელი“), აბესალომ ტულუშისა და ნუგზარ შურაშვილის წიგნებით („ანაკლია“ და „ანაკლიის ისტორია“) და ასევე ჯემალ მაჭახელიძის ხელნაწერი რვეულით. ლაზური გვარების წარმომშობის საკითხში კი ასევე დავყვრდები ასევე აბდულოღლის მონაყოლს ირინა ასათიანის წიგნიდან „ჭანური (ლაზური) ტექსტები“. სამწუხაროდ არც ქართველ მეცნიერებთან, არც უცხოელ მოგზაურებთან, არც დადიანების სასახლესა და არც საქართველოს ეროვნულ არქივშიც კი ანაკლიის კულტურული ცხოვრების ამსახველი

მასალა არ ჩანს. ამ მხრივ არც კომუნისტების დროინდელი და არც თანამედროვე პრესაა საინტერესო.

ლაზები უკვე საუკუნეზე მეტია რაც მეგრელებთან ერთად ცხოვრობენ, თუმცა მათი უმეტესობა დღემდე ოსმალურ გვარს ატარებს. ლაზებმა მუსულმანური რელიგია და ოსმალური გვარები თანდათანობით და ძალდატანებით XV-XVII საუკუნეებში მიიღეს. 1934 წელს კი თურქეთის რესპუბლიკაში ძველი გვარები აიკრძალა და შემოიღეს თანამედროვე თურქული გვარები. ამას გარდა ძველი თაობის ლაზებში აღრეული იყო მოქალაქეობრივი და ეთნიკური კუთვნილება და ამიტომ ბევრ მათგანს ლაზი - თურქის ნაირსახეობად მიაჩნდა.



როგორც უკვე აღვნიშნე ანაკლიელი ლაზები ოსმალურ გვარებს ატარებენ. მხოლოდ რეიზოლღებმა გადაიკეთეს გვარი რაზმაძეებად, ქვაქულოღებმა - ქვახულიძედ და ალაზადეებმა - ქართველიშვილებად. დანარჩენების გვარებია: სოქთოღლი, აბდულოღლი, ქელეჯოღლი, მოლაოღლი, სუფალოღლი და ოდაბაშოღლი. ანაკლიაში ასევე ცხოვრობენ ფატლანძეები და თიკანაძეები, რომლებიც ადგილობრივების მიერ ლაზებად იწოდებიან, თუმცა თიკანაძე რაჭიდან არის ჩასახლებული, ჯაბიევი კი აზერბაიჯანიდან. ფატლანძეების წარმომავლობა ბურუსითაა მოცული. აჭარაში ცხოვრობენ ფატლანძეები, რომლებიც აღიარებენ ანაკლიელებთან ნათესაობას მაგრამ უარყოფენ ლაზურ წარმოშობას. ფილოლოგ ირინა ასათიანს კი თავის წიგნში ჭანური (ლაზური) ტექსტები, ფატლანძეების წარმოშობის ადგილად ხოფის რაიონის სოფელ ბუჯაღს უთითებს. ადვილი შესაძლებელია რომ რომელიმე ფატაოღლი (შემდგომში



სანიე მოლაოღლი

ფატლანძედ გადაკეთებული), ლაზებს მართლაც ჩასიძებოდა. ხალვაში ისტორიულად ლაზური გვარია, თუმცა ანაკლიაში ისინი აჭარიდან მოვიდნენ.

ცნობისთვის ნამდვილი ლაზური გვარები „ში“-ზე ბოლოვდება რაც ქართულად ძეს ნიშნავს. სარფელთა გვარებია ვანილიში, ჯევაიში, აბდულიში, მემიში და ა. შ. რატომღაც ასეთ გვარებს არცერთი ანაკლიელი არ ატარებს, არადა ლამაზი იქნებოდა სუფალიში, რეიზიში, ქვაქულიში და ა. შ.

პორტის გამო ანაკლიაში დასახლდნენ არამარტო ლაზები, არამედ იმერლები (კიკნაძე, აბულაძე, გიგინეიშვილი, ბუბუტეიშვილი, სვანიძე, გერეხელიძე,



ნაჯიე ქვაქულოღლი სარფელ შვილთაშვილებთან

ლორჩოშვილი, მიქელაძე) და რაჭველები (თიკანაძე), ასევე ბერძნები (ხარლამპიდი, ანდრიკოპულო, პაპანდოპულო), თურქეთიდან დევნილი სომხები (ბალოიანი) და თვით მეგრელების დიდი ნაწილიც კი. ბერძნებიდან დღეს მხოლოდ ხარლამპიდები შემოგვრჩნენ. 1940-იანი წლებიდან ასევე ცხოვრობდნენ გერმანელები (სტელმახი და ვოლნიხი), უკრაინელები (ბირბინსკაია) და სტაროვერები (სტომა და ვადობშინი). ამ ხალხის დიდი ნაწილი შემდგომ ფოთში გადასახლდა და ანაკლიასთან კავშირი გაწყვიტა.

დღევანდელი ანაკლიელები მრავალფეროვანი წარმომავლობის მიუხედავად უკვე გამეგრელებულნი არიან და ნაკლებად აქვთ ურთიერთობა თავიანთ შორეულ ნათესავებთან. თურქეთის ლაზებს კი არც იცნობენ.

იმის გამო, რომ ლაზებს თურქული გვარები ჰქონდათ და მუსლიმები იყვნენ, მეგრელები მათ თურქებს უწოდებდნენ. 1890-1900-იანი წლების ქართულ



პრესაში კი ლაზები თათრების სახელით არიან მოხსენიებული და არ მიიჩნევიან ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილად. როგორც ჩანს, თათრებად დასახელებული ლაზები იმხანად მონაცვლეობით ცხოვრობდნენ ანაკლიასა და ისტორიულ ლაზეთში.

სამწუხაროდ, ანაკლიელ მეგრელებში იმდენად იყო გამჯდარი ლაზების „თურქობის“ თეორია, რომ რამდენიმე მათგანმა 1990-იანი წლების დასაწყისში მოითხოვა ლაზების ანაკლიიდან გასახლება. საბედნიეროდ, ეს კონფლიქტი თავად ადგილობრივებისვე ჩარევით მალევე ჩაქრა. უნდობლობა კი ლაზების მიმართ კომუნისტების

სულბიე სოქთოდლი

დროიდან დაიწყო. არც ანაკლიის სკოლის და არც ზოგადად ანაკლიაში არსებული სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელებიდან და მათი მოადგილეებიდან ლაზი არცერთი არ იყო. მეტიც, თვით მეთევზეთა ტრესტის ხელმძღვანელებიც კი მეგრელები იყვნენ, როდესაც მეთევზეობა და მენავეობა ლაზების ძირითადი ხელობა იყო (შურაშვილი, 2001). ლაზური საჭმელებია ქაფშიონი მჭკიდი (ხამსას მჭადი), ქაფშიაში დოღმა (ხამსას ბრინჯი), ქაფშიაში ფლავი (ხამსას ფლავი) და ა. შ. ცნობილი აჭარული ხაჭაპურიც კი ლაზური წარმოშობისაა.

ანაკლიელ ლაზებს არც ჯარში და არც მეორე მსოფლიო ომში არ იწვევდნენ რადგანაც მათში ფარულ მტერსა და თურქეთის აგენტებს ხედავდნენ. შიშინაობის გამო ანაკლიელმა ლაზებმა ურთიერთობა გაწყვიტეს აფხაზეთსა

და გურიაში მცხოვრებ ლაზებთან და ურთიერთობა მხოლოდ სარფთან ჰქონდათ, რადგან ბერიას მეგობრული ურთიერთობების წყალობით სარფი ნაკლებ შევიწროებას განიცდიდა და არც თავიანთი ლაზური წარმომავლობის დამალვა უწყევდათ. ჩვენ, ერთი მხრივ ვგმობთ ლაზების მიმართ მსგავს პოლიტიკას, მეორე მხრივ ადამიანურად გვესმის ანაკლიელი მეგრელების. მე და მამაჩემს არ დავგავიწყდება ზოგიერთის გაოცებული სახე როდესაც ლაზურად ვიწყებდი საუბარს. აღმოჩნდა, რომ მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ლაზური ენის შესახებ და მხოლოდ ჩვენი საუბრის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ლაზები თურქები არ არიან და ლაზური ენა რომ ძალიან ჰგავს მეგრულს.



მაშინ, როდესაც 1949 და 1951 წლებში აჭარიდან, აფხაზეთიდან და გურიიდან ციმბირსა თუ შუა აზიაში არაერთი ლაზი გაასახლეს, ანაკლიიდან არავინ გაუსახლებიათ. დარწმუნებული ვარ, რომ ანაკლიელები ამ საშინელ ხვედრს მეგრელებთან დანათესავების გამო გადაურჩნენ. მიუხედავად ამისა მათ ლაზურად ლაპარაკის შიში სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ. მით უმეტეს რომ ანაკლიაში 2009 წლამდე არსებობდა რუსული სამხედრო ბაზა. ლაზურის მცოდნე თაობას განსაკუთრებით უხაროდა სარფში თავიანთ ნათესავებთან ჩასვლა ანდა სარფელების სტუმრობა, რადგან მაშინ თავისუფლად შეეძლოთ ლაზურად საუბარი. სამწუხაროდ იმ თაობის ბოლო წარმომადგენლები 20-30 წლის წინ გარდაიცვალნენ.


რაც შეეხება ლაზების დასახლების ისტორიას: აბესალომ ტულუშის მტკიცებით, ანაკლიაში ლაზები XVIII საუკუნის მიწურულიდან ცხოვრობენ (ალიოღლი, სოფოღლი, აბაშოღლი, დევრიშოღლი, კარალოღლი, დემლიშოღლი, ჯიხოღლი, იუსუფოღლი და სხვ.), თუმცა დღეს მათი კვალი არ ჩანს. მათი შთამომავლობა ან ლაზეთში დაბრუნდა, ან გამეგრელდა. დღევანდელი ლაზების წინაპრები კი, 100-130 წლის წინ არიან მოსულები. მათი სამოსახლო ძირითადად ხოფისა და არქაბეს მიდამოები იყო. ქელეჯოღლები, სოქთოღლები, აბდულოღლები და აღაზადე-ქართველიშვილები წარმოშობით ხოფიდან არიან; მოლაოღლები, სუფალოღლები და რეიზოღლი-რაზმაძეები არქაბედან; ქვაქულოღლი-ქვახულიძეები ვიწედან, ოქსუსოღლები კი რიზედან არიან ანაკლიაში მოსულები. რაც შეეხება ოდაბაშოღლებს, მათი წარმოშობის ადგილი ხოფა ან არქაბეა. მაჭახელიძეები კი წარმოშობით მაჭახელას ხეობიდან ყოფილან, თუმცა გული, ჯემალ და შადიე მაჭახელიძეებს ლაზი დედა (ხოფელი ზექიე კიტმიროღლი) ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 60-70 წლის წინ მათი გვარები ტირეებით იწერებოდა: მაგ. რეიზ-ოღლი, სოქთ-ოღლი და ა. შ. თუმცა მართლწერის ეს ფორმა მალევე იქნა უარყოფილი.

ენათმეცნიერებისგან ვიცოდი, რომ ლაზურად ანაკლიაში არავინ საუბრობდა, მაგრამ მაინტერესებდა იყო თუ არა შესაძლებელი ორიოდ

ლაზური კუპლეტის ფიქსირება მაინც. ასევე შემორჩენილი იყო თუ არა ლაზური სამზარეულო. სამწუხაროდ ლაზური სამზარეულოდან მხოლოდ ჰალვაა შემორჩენილი. სამაგიეროდ, დღემდე გავრცელებულია მენავეობა, რომელიც ლაზების ტრადიციული ხელობაა. ლაზებმა ასევე შეინარჩუნეს ხასიათიც. ისინი უაღრესად თბილი, მაგრამ ამავდროულად ფიცხები და პირში მთქმელები არიან.

რაც შეეხება ლაზურ სიმღერას, ანაკლიაში მხოლოდ ორიოდ ლაზი და მეგრელი თუ იხსენებს თითო-ოროლა სტროფს, ისიც დამახინჯებული მელოდიითა და ისეთი სიტყვებით, რომლებიც არ გამოიყენება არც ლაზურ და არც მეგრულ ენაში. სიმღერა „სარფი მოლენი“ გამართული მელოდიითა და ტექსტით შეასრულეს მხოლოდ გული მაჭახელიძემ და ანაკლიის სკოლის მოსწავლეებმა, რადგან სიმღერის ჩანაწერი სპეციალურად ჩამოიტანა ანაკლიის რვაწლიანი სკოლის მაშინდელმა დირექტორმა მარინა მალანიაძემ. აქვე ობიექტურობისთვის უნდა აღვნიშნო, რომ ეს სიმღერა ხნიერი ანაკლიელების ნაწილს თავისი მეზობელ-ნათესავებისგან ადრევე ჰქონდა გაგონილი, თუმცა, დამახინჯებულად ახსოვდათ. აქედან დასკვნა: დღეს ანაკლიაში აღარავინ იცის ლაზური ენა და კულტურა.

ლაზური კულტურის დავიწყება არ გავიკვირდება, თუ მხედველობაში მივიღებთ ოთხ უმთავრეს გარემოებას: 1) ანაკლიაში მცხოვრები 600-მდე ოჯახიდან მხოლოდ 30-მდეა ლაზური ოჯახი; 2) არათუ ახალგაზრდა, არამედ ხნიერი ლაზების ნაწილს არალაზი (მეგრელი, რუსი, აჭარელი) დედა ჰყავდა;



მარინა მალანია და თამუნა გამისონია

3) გადასახლების შიშით მათ წინაპრებს ლაზურად საჯაროდ ლაპარაკის ეშინოდათ და ლაზურად მხოლოდ საიდუმლოდ თქმის, სარფიდან სტუმრების მოსვლის ანდა მოხუცების შეკრების დროს ლაპარაკობდნენ. ამ დროს ზოგი თურქულადაც საუბრობდა; 4) ანაკლიელების ლაზურ უბანში სულ ცოტა 1950-იანი წლებიდან მაინც რამდენიმე მეგრული ოჯახი ცხოვრობდა. დღევანდელმა ანაკლიელებმა თურქულიც არ იციან, თორემ ლაზური მელოდით ერთზე მეტ თურქულენოვან სიმღერას ჩავიწერდი.

ანაკლიელი ლაზებიდან ლაზური ენა სრულყოფილად, სიმღერები კი მეტ-ნაკლებად კარგად იციან ქემალ და ხატოჯე ქვაჭულოღლებმა (ქვაჭულიშებმა), მაგრამ ისინი მხოლოდ მოზარდობამდე ცხოვრობდნენ ანაკლიაში და აქ ცხოვრების დროსაც ყოველ ზაფხულს სარფელი დედის ნათესავებთან ატარებდნენ, შესაბამისად სიმღერებიც ძირითადად სარფელებისგან ისწავლეს, თუმცა ლაზური სიმღერა ასევე ესმოდათ ანაკლიაშიც.



მართალია ლაზური ენა დღეს ანაკლიაში სრულიად დაკარგულია, მაგრამ არათუ ნახევარი საუკუნის წინ, არამედ 20-30 წლის წინაც კი ლაზური ენისა და სიმღერის მცოდნე ხალხი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მათი უდიდესი ნაწილი დაბადებულ-გაზრდილია გაღმა ლაზეთში. შესაბამისად, ლაზეთში ცხოვრების წლები პირდაპირ პროპორციულია ლაზური სიმღერების ცოდნასთან. ალბათ ამიტომაც იყო, რომ უკვე 1910-20-იან წლებში დაბადებულ ლაზებს ლაზურად საუბარი შესამჩნევად უჭირდათ. სამწუხაროდ არავის უფიქრია, რომ ქსენია ქობალიასა და გრიგორ (გრისკო) ესართიას 1940-50-იანი წლების მოქმედ ანაკლიელთა ანსამბლში ლაზური სიმღერებიც შეეტანათ. მართალია, ანსამბლის ლაზმა წევრებმა ლაზური ენა აღარ იცოდნენ, თუმცა მათი მშობლებისა თუ მეზობლებისგან შეეძლოთ შეესწავლათ ლაზური სიმღერები და გუნდისთვის შეეთავაზებინათ. იქნებ მსგავსი მცდელობაც იყო, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ ლაზური სიმღერა ერთხმობის, თურქული მელიზმატიკის სიჭარბის, ანდა ტექსტში ხშირად თურქული სიტყვების გამოყენების გამო დაიწუნა, ვინ იცის... იმ ავადსახსენებელ 1920-50-იან წლებში ხომ ლაზ მოხუცებს ხმამაღლა საუბრისაც კი ეშინოდათ...

ლაზების უბანში 1935 წელს დაბადებული გივი თიკანაძის ცნობით ყანაში ლაზები „ბგერების გაწელებით“ მღეროდნენო. შესაძლოა იმხანად ყანაში მართლაც რამდენიმე ლაზი თავისთვის მართლაც ღიღინებდა, მაგრამ ამის ალბათობასაც ნაკლებად მივიჩნევ, რადგან 1940-იან წლებში ლაზების ციმბირსა და ყაზახეთში გადასახლების შიშით ლაზურად მხოლოდ სამეზობლოში საუბრობდნენ და მღეროდნენ, ცალკე საყანო ნაკვეთები კი არ ჰქონდათ. ისიც შესაძლებელია, რომ ბატონ გივის მეგრული ნადური სიმღერების დამაბოლოებელი მონაკვეთები აღექვა „გაწეილ ბგერებად“. შეიძლება ყანაში რამდენიმე ლაზი თავისთვის ლაზურ ლირიკულ სიმღერებს (ე. წ. „დესთანს“) მღეროდა, რომელთაც ახასიათებს ბგერების „გაწევა“. აქედან გამომდინარე არ ვარ დარწმუნებული რომ საუბარი ნამდვილად ლაზურ სიმღერას ეხებოდა. ყოველი შემთხვევისთვის სხვა ანაკლიელებმა

ვერც ეს ცნობა დაადასტურეს და ვერც ქორწილსა თუ სხვა დღეობებზე ლაზური სიმღერის შესრულების ფაქტი გაიხსენეს.

ანაკლია ნავსადგურის წყალობით XVII-XIX საუკუნეებში სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა. ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დუქნების მეშვეობით ხდებოდა ჭურჭლის, იარაღის, სელის თესლის, აბრეშუმის, ხარის ტყავის, კვერნისა და თახვის ბეწვის, ბზისა და თაფლის ყიდვა-გაყიდვა (ტულუში, 1991). ნავსადგურთან და დუქნებთან ერთად გაზეთ „ცნობის ფურცელის“ მიხედვით 1904 წლისთვის იყო ორი სახერხი ქარხანაც. ანაკლიის ნავსადგურს მჭიდრო კავშირი ჰქონდა არამარტო თურქეთთან, არამედ შავი ზღვის სხვა დანარჩენ ქვეყნებთანაც (იქვე). სიტყვა ანაკლია კი „ანარკიდან“ მომდინარეობს. „ანარკია“ ტყვეთა სყიდვასთან ასოცირდება (ანა რკიანს - ანა ჰკივის, აღნარკია - ნაკივლები ადგილი). ანაკლიის დაარსების ისტორიას ეხება გული მაჭახელიძისა და მარინა მალანიას მიერ დაარსებული ფესტივალი „ანაობა“. ანაკლიის ნავსადგურსა და ციხეს ფოთთან ერთად ოსმალელები XVII-XIX საუკუნეებში აკონტროლებდნენ. სამწუხაროდ ანაკლიის ნავსადგურმა მუშაობა 1937 წელს შეწყვიტა და ელექტრონით განათებული სოფელი დიდი ხნის მანძილზე ჩაბნელებული.

ისმის კითხვა: ანაკლიაში ხომ მეგრელები ლაზებთან ერთად უკვე საუკუნეზე მეტია ცხოვრობენ, ნუთუ არც იმ ძველი თაობის ანაკლიელებს ჰქონდათ მოსმენილი ლაზური ენა, რომლებიც 1920-იან წლებამდე ლაზებთან ერთად მუშაობდნენ ანაკლიის ნავსადგურში? ანაკლიის მოსახლეობის გამოკითხვამ აჩვენა რომ ყველა გვარი (ყორშიების გარდა) სამეგრელო სსკვადასხვა სოფლებიდან არის მოსული, მათგან ზოგი 1920 წლამდე თითო-ოროლა მოსახლით იყო წარმოდგენილი, ზოგიც ბოლო 80-100 წლის მანძილზე დასახლებული. ყორშიები ძირძველ ანაკლიელებად ითვლებიან, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მათი უბანი ლაზების ქუჩისგან კილომეტრებით არის მოცილებული და მათთან სიახლოვე არ ჰქონიათ.

ანაკლიიდან სარფში 1930-70-იან წლებში ხუთი ქალბატონი გათხოვდა,



ნინო სახეიშვილი და თინათინ სიჭინავა | თამაზ კრავიშვილის ფოტო, 2019

იქედან ანაკლიაში კი მხოლოდ ერთი. სწორედ ანაკლიელ ლაზებთან სარფელების ნათესაური ურთიერთობების წყალობით არაერთმა ანაკლიელმა მეგრელმა გაიგო თუ ვინ არის ლაზი და შეიყვარა ეს ხალხი, თუმცა სამწუხაროდ ლაზის თურქად მოხსენიების ტენდენცია დღემდე საკმაოდ ძლიერია. ქუჩას, რომელსაც დღესდღეობით ლიტერატორ ორდე დგებუაძის სახელი აქვს, ლაზების ქუჩა უნდა დაერქვას. ხელმოწერები უკვე შეგროვილია თუმცა, ზუგდიდის საკრებულოს უკვე ორი წელიწადია რაც ეს საკითხი თაროზე აქვს შემოდებული.

ანაკლია-სარფის დამეგობრება 1980-იან წლებში დაიწყო. ანაკლიელი რევან ესართიას და სარფელი ომარ ჯეგაიშის ინიციატივით სარფსა და ანაკლიაში ამ სოფლების ფეხბურთის გუნდების არაერთი ამხანაგური შეხვედრა გაიმართა, რასაც თან სდევდა როგორც სარფში ისე ანაკლიაში რამდენიმე დღიანი



სტუმარ-მასპინძლობა. 1990-2000-იან წლებში ერთმანეთს დაუმეგობრდნენ ანაკლიისა და სარფის სკოლები. ეს საქმე ანაკლიიდან განახორციელეს სკოლის ყოფილმა დირექტორმა მარინა მაღანიამ და გული მაჭახელიძემ, სარფიდან კი სკოლის ყოფილმა დირექტორმა ზურაბ ვანილიშვილმა და მამია ჯეჯავიშვილმა. დღესასწაულ „ანაობაზე“ სარფის სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ ეს ღონისძიებები ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც სარფელების ისე ანაკლიელი მეგობრების დიდმა ნაწილმა არაფერი უწყიან ერთმანეთის ყოფისა და კულტურის შესახებ.

ნოე ყორშია | თამაზ კრავიშვილის ფოტო, 2019

დღეს უდიდესი მადლობა მსურს მოვახსენო ანაკლიის სკოლის მუსიკის მასწავლებელს თინათინ (თამილა) სიჭინავას. დაუმეგობრდა რა ხელვაჩაურის რაიონის ფოლკლორულ ანსამბლ „ათძალს“, ანსამბლი მოიწვია „ანაობის“ დღესასწაულზე და 2018 წელს ანაკლიელ ბავშვებს ორი ლაზური სიმღერა შეასწავლა. ქალბატონი თამილასთვის ამჟამად უკვე ცნობილია სარფსა და თურქეთის ლაზეთში ჩემ მიერ სხვადასხვა წლებში ჩაწერილი სიმღერების დიდი ნაწილი და ვიმედოვნებ, რომ მისი წყალობით, ანაკლიელების რეპერტუარში ლაზური სიმღერა მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს. ანაკლიაში დღესდღეობით მხოლოდ სკოლის მოსწავლეთა გუნდი არსებობს. ვფიქრობ, თამილა სიჭინავას, ლელა სულეიმანიშვილის, ზვინა შამათავას, სალომე რაზმაძის, ნინო ლორჩოშვილის, ანა აბულაძისა

და მათი მეგობრების რესურსი საკმარისია ახალგაზრდებისა და დიდების ანსამბლების შესაქმნელად. ორივე ანსამბლი მეგრულთან ერთად ლაზურსაც ასევე კარგად შეასრულებს. მით უმეტეს რომ თამილას პატარები ლაზურ სიმღერებს ძალიან კარგად მღერიან. ბავშვებმა ლაზური სიმღერების წყალობით ზუგდიდსა და ბათუმში წარმატებებს მიაღწიეს და გრანპრიც აიღეს. ანაკლიის ისტორია და დღევანდელი გვიჩვენებს, რომ მას თავისუფლად შეუძლია სარფთან ერთად გახდეს ლაზური სიმღერისა და კულტურის პოპულარიზატორი და სოფელი არ უნდა იყოს მხოლოდ სკოლის მოსწავლეთა ანსამბლ „ლაზიკის“ ამარა. ანაკლიაში, სადაც წლებია იმართება ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, თავისუფლად შეიძლება ჩატარდეს ლაზური მუსიკის ყოველწლიური ფესტივალიც. დღეს უკვე აღარავინ იცის „ოჩეშხვი“, „კუნხი ბეღინერი“ და სხვა მსგავსი რთული სიმღერები, რადგან არც ნადი და არც ქორწილი ძველი სიმღერებით ათწლეულებია რაც აღარ ტარდება. მეტიც, სოფელს მეჩონგურეც აღარ ჰყავს.

თბილისის კონსერვატორიას და ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტს თუნდაც 1950-80-იან წლებში კონსერვატორიასა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს თითო ექსპედიცია რომ ჩაეტარებინათ, არ ვიქნებოდით მხოლოდ დღევანდელი ანაკლიელების და 1990-2000-იანი წლების კაცებებზე ჩაწერილი ხუთიოდე სიმღერის იმედად. მიუხედავად ამისა სალომე რაზმაძეს, ზვინა შამათავას, ნინო ლორჩოშვილსა და სხვებს ანსამბლის შექმნის შემთხვევაში სამეგრელოს სხვა სოფლებში მოპოვებული ფონოჩანაწერებითა და ლოტბარებთან კონსულტაციით შეუძლიათ ჩონგურისა და ძველი სიმღერების შესწავლა.

ანაკლიელები ძველი თაობის შემსრულებლებზე საუბრისას განსაკუთრებით გამოჰყოფენ ქსენია ქობალია-ესართიას, გრიგორ (გრისკო) ესართიას, ბუბუ სიჭინავა-ჭეჭიას, გული მაჭახელიძეს და ნიურა სახეიშვილს; ლაზების ქუნაზე მცხოვრებლები კი გული მაჭახელიძესთან ერთად ასევე ლუთფიე შაინოლი-მოლაოლლის, ელიკო და ჰურიე მოლაოლლებს, ასევე აბდულოლლის, სულბე (ჩუჩი) სოქოლლის, იაშა რაზმაძეს, ნაზიმე

რეიზოლლი-რაზმაძეს, ციცო რეიზოლლისა და იქმეთ ქვახულოლი-ქვახულიძეს. სიმღერით სამეზობლოში ნაკლებად გამოირჩეოდნენ ხავა სოფოლი, ხაკი და ფერიდე აბდულოლოლები, თახსიმ ალაზადე-ქართველიშვილი, ზაირა ფატლანძე, ცაქვა და კუჭა ალიოლოლები. ჩამოთვლილთაგან ლაზურ და თურქულენოვანი სიმღერები კარგად სცოდნიათ იქმეთ ქვაქულოლი-ქვახულიძეს, ხაკი აბდულოლოლის, ზაირა ფატლანძეს, ლუთფე შაინოლოლისა და ასევე აბდულოლოლის. რამდენიმე ლაზური და თურქულენოვანი სიმღერა კი სცოდნიათ ცაქვა ალიოლოლის, ჰურიე, ელიკო და ადვიე მოლაოლოლებს, ხავა სოფოლოლის, ფერიდე აბდულოლოლის და გული მაჭახელიძეს. დანარჩენები კი ანაკლიელთა აზრით, მხოლოდ მეგრულ სიმღერებს მღეროდნენ, თუმცა ბელა მიქავას სიმღერა „სარფი მოლენი“ ელიკო მოლაოლოლიმ შეასწავლა. ჩამოთვლილთაგან სამწუხაროდ, მხოლოდ ნიურა სახეიშვილს, ციცო რეიზოლოლის, ბელა მიქავას და სულბიე სოქთოლოლის მოვესწარით. ამჟამად კი ქალბატონი ნიურა და სულბიე უკვე გარდაცვლილები არიან. ძველი თაობის ანაკლიელი ლაზებისგან ჩაწერილია მხოლოდ ნაჯიე ქვაქულოლოლის ნამღერი ლაზური სიმღერები და გული მაჭახელიძის მიერ გიტარაზე შესრულებული ორიოდ მეგრული და ლაზური სიმღერა.

ანაკლიელები ასევე დიდი სინანულით იხსენებენ ქსენია ქობალიასა და გრიგორ (გრისკო) ესართიას მიერ 1940-იანი წლების ბოლოს შექმნილი ანსამბლის წევრებს, რომლებიც თბილისში ხალხური სიმღერების ერთ-ერთ ოლიმპიადაზეც კი გამოვიდნენ. ანსამბლი ძირითადად ზუგდიდისა და გალის რაიონის სოფლებში მოგზაურობდა. იმისდა მიუხედავად, რომ ანსამბლი მთელს ანაკლიაში ძალიან პოპულარული იყო, ჩვენ ხელთ მხოლოდ ერთადერთი ჩანაწერია, ალბათ იმიტომ რომ ანსამბლი 1950-იანი წლების ბოლოს დაიშალა. ანსამბლის წევრები იყვნენ: კლარა ჭეჟია, ბუბუ სიჭინავა-ჭეჟია, ტაბუცა ციცქარავა, კუკუშა შელია, ფლორა კოდუა, თინიკო შენგელია, ვარდენ კიკავა, ხუხუტი რატია, ჯუმბერ გვილია, გული ოდაბაშოლი, გული რეიზოლოლი-სუფალოლი, იაშა რეიზოლოლი-რაზმაძე, ნაზიმე რეიზოლოლი,

მერი სუფალოლი, გრიგოლ ტუღუში, თეოდორე ხარლამპიდი, ლუღუნი ყორშია, შაქრო ბოკუჩავა, ვალიკო ახალაია, დუნა ჯიქია, მავრა ჭეჟია, კუკური დიდიშვილი, ავთო ბიგვაკა, ბიჭუნა ჯიქია, ომეზ ჭაფანძე, არონ უჩავა, დანა გულუა, ბაჩუა სვანიძე და სხვები. ქალბატონი ქსენიას შემდეგ ანსამბლს ხელმძღვანელობდა ხუხუტი რატია. ნუგზარ შურაშვილი ახსენებს მეჩონგურეთა ფრთასაც ბუბუ ჭეჟიას ხელმძღვანელობით, მაგრამ ანაკლიელთა გადმოცემით მეჩონგურეთა ეს ფრთა ანსამბლისგან დამოუკიდებლად არ არსებობდა. ანაკლიის სკოლას ჰქონდა ცეკვის წრე, რომელსაც ჯერ კოტე კიკავა, შემდგომ კი გოგი ჩერქეზიშვილი ხელმძღვანელობდა. მეგარმონედ კი რეზო კვარაცხელია მოიწვიეს. სხვადასხვა დროს ცეკვავდნენ ლიანა შელია, ზაირა გერეხელიძე, თორნიკე სუფალოლი, მარინა მაღალია და სხვები.

გუნდის წევრებიდან კი მხოლოდ კლარა ჭეჟიასთან ურთიერთობის სიამოვნება განვიცადეთ. სამაგიეროდ გვაქვს ანსამბლის განთქმული წევრისა და ანაკლიელთა აზრით ანსამბლის მარჯვენა ხელის ბუბუ სიჭინავა-ჭეჟიას აუდიოკასეტა. ქალბატონი ბუბუ ჩონგურის თანხლებით ასრულებს საბჭოური ტიპის მეგრულ სიმღერებს, მაგრამ ეს ჩანაწერები მაინც შევიტანე,



ბუბუ სიჭინავა-ჭეჟია ჩონგურით, კოტე შონია და ბუბუს ქალიშვილი კლარა ჭეჟია ჩონგურით



ანაკლიელთა ანსამბლი | ელგუჯა ესართიას არქივიდან

რადგან სტილისტურად ისინი მეგრული ქალაქური ტიპის სიმღერების ნაწილია. ისე კი, უნდა აღვნიშნო, რომ საარქივო ჩანაწერების დიდი ნაწილი ქალბატონი მარინა მალანიას ღონისძიებებიდან არის აღებული.

1930-70-იან წლებში ანაკლიიდან სარფში გათხოვილები იყვნენ ნაჯიე ქვაქულოლი, მინერა (მინირე) მოლაოლი, შადიე მაჭახელიძე, გულნაზ ჯაბიევი და მერიემ რეიზოლი. ქალბატონი გულნაზი სიმღერის ნიჭით არ გამოირჩევა, დანარჩენებს კი ვერ მოვესწარი, თუმცა მათი ოჯახის წევრების

გადმოცემით ეს ქალბატონები ზოგადქართულ და მეგრულ სიმღერებს მღეროდნენ. მხოლოდ არქაბში დაბადებულ, ანაკლიაში გაზრდილ და სარფში გათხოვილ ნაჯიე ქვაქულოლის ასსოვდა ლაზური სიმღერები, რომლებიც ლაზურ და თურქულ ენაზე 1983 და 2004 წლებში ჩაიწერეს ენათმეცნიერებმა ზურაბ თანდილავამ, ეთერ შენგელიამ და ნანა ხოჭოლავამ. ორივეგან შესამჩნევია რომ ქალბატონი ნაჯიე ლაზურ სიმღერებს მღერის ლაზურისთვის დამახასიათებელი მელიმატიკით, რასაც მელოდიაზე ვერ ვიტყვი. ნაჯიეს მიერ ნამღერ ლაზურენოვან სიმღერებს ლაზურისთვის უცხო და ქართული ქალაქური საგიტარო სიმღერისთვის დამახასიათებელი მელოდია გააჩნია მით უმეტეს რომ ქალბატონი ნაჯიე ჯერ კიდევ ანაკლიაში ცხოვრების დროს გიტარაზე ასრულებდა ქალაქურ და ლაზურ სიმღერებს. ამ მხრივ გასაკვირია, რომ მის მიერვე შესრულებული თურქულენოვანი სიმღერების უმეტესობას წმინდა ლაზური მელოდია აქვს.

გვსურდა ხნიერი ლაზების თავმოყრა და მეგრული სიმღერების სამ ხმაზე ჩაწერა, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს შეუძლებელი გახდა. ამიტომ ლაზებისგან ცალ-ცალკე ჩავიწერე მეგრული სიმღერების დამწეები ხმები. ჩაწერის შედეგად გაირკვა, რომ ლაზების მიერ ნამღერ მეგრულ სიმღერაში ლაზური მუსიკის გავლენის კვალი მელოდიის ან მელიზმების კუთხით არ იგრძნობოდა. მითუმეტეს, რომ ანაკლიელების მიერ ნამღერ ორიოდე ლაზურ სიმღერაშიც კი არ იგრძნობა ე. წ. ლაზური მელიზმატიკა. მხოლოდ ქემალ და ხატიჯე ქვაქულოლებმა მეგრული „ართი კოჩი“ ლაზური სიმღერების მსგავსად უნისონში შეასრულეს. ეს იყო და ეს.

1910-50-იან წლებში ჩონგურზე უკრავდნენ ნაზიმე რეიზოლი, გული რეიზოლი, მერი სუფალოლი და პუჭი, ქუქა და შუქრი მაჭახელოლები. შესაძლოა ზემოთ ჩამოთვლილთა, ისევე როგორც სხვა იმდროინდელ არამეჩონგურე ლაზთა მიერ შესრულებულ მეგრულ სიმღერებს მღერის მანერის, მელოდიის ან მეტრულ-რიტმული კუთხით ლაზურის გავლენა ჰქონოდათ. სამწუხაროდ ისინი არავის ჩაუწერია. სამაგიეროდ სულბიე (ჩუჩი) სოქთოლის მიერ შესრულებული მეგრული დატირება მელოდიურობით

ჰგავდა ლაზურ ტირილს მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი მთლიანად მეგრული იყო. მეგრულისგან განსხვავებით ლაზური დატირება დიდი მღერადობით გამოირჩევა და სწორედ ეს თვისება ჰქონდა ქალბატონი სულბიეს მიერ შესრულებულ ნიმუშს. ძველ თაობაში გვხვდებოდა მეგრულად როგორც სიმღერით, ისე წართქმით, ანუ წმინდა მეგრული სტილით მოტირლები, თუმცა იმდროინდელი ჩანაწერები არ არსებობს. რაც შეეხება მამაკაცების ტირილს, ეს არათუ ანაკლიაში, არამედ ზოგადად სამეგრელოში ძალიან იშვიათია და დიდი მგრძნობელობით სრულდება.

ვინაიდან 1920-იან წლებამდე ანაკლიაში ცხოვრობდნენ როგორც ქართველები, ისე ბერძნები, რუსები და სხვა ეროვნების ვაჭრები, ფაქტია რომ ანაკლიაში უცხოური სიმღერებიც გაიჟღერებდა. ისიც ადვილი შესაძლებელია რომ მეგრულ, ლაზურ, დანარჩენ ქართულ და უცხოურ სიმღერებს შორის მცირე ურთიერთგავლენაც ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ საუკუნის წინ ჩონგურთან ერთად გვხვდებოდა გარმონი, გიტარა და ვიოლინოც კი. გიტარაზე უკრავდა ანაკლიაში გაზრდილი ნაჯიე ქვაჭულოლი, რომელიც სარფში 1932 წელს გათხოვდა. ქალბატონი ნაჯიეს თქმით სარფში მისი გათხოვების დროს გიტარა ნანახიც კი არ ჰქონდათ, როდესაც ის ჯერ კიდევ ანაკლიაში ცხოვრების დროს უკრავდა. სავარაუდოდ 1920-30-იან წლებშივე უნდა ესწავლათ გიტარაზე დაკვრა ცაქვა ალიოღლისა და რუმენ რეიზოღლის. მეგარმონეები კი იყვნენ 1910-40-იან წლებში გარდაცვლილი პუჭი, ქუქა და შუქრი მაჭახელიძეები. გარმონზე სრულდებოდა მეგრული და ქართული სიმღერები, გიტარაზე კი მათთან ერთად - ლაზური. ვიოლინოზე უკრავდა ბერძენი ვერი ანდრიკოპულო და ბიქტორ დიდიშვილი. 1924 წელს დაბადებულ კარლო ლავვილავას ცნობით ვიოლინო ანდა ვიოლინოს მსგავსი საკრავი (შესაძლოა ზუთსიმიანი საზი) ჰქონდა ალიოშა კაკულიას. კარლოსვე ცნობით არსებობდა „ჭიბონივით გაბერილი ზურნაც“. სამწუხაროა, რომ ამ საკრავების სურათები არ შემოგვრჩა. მართალია 1950-იანი წლებიდან კი მომრავლდნენ ფანდურისა და გიტარის მცოდნენი (სულბიე სოქთოღლი, გული მაჭახელიძე, ნიურა სახეიშვილი და სხვ.), თუმცა ეს უკვე სრულიად

საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. გარმონისა და ვიოლინოს, მით უფრო საზის ხელოვნება ანაკლიაში აღარ განვითარებულა. ჩონგური კი როგორც ტრადიციული საკრავი ოდითგანვე იყო გავრცელებული.

1920-იანი წლების დასაწყისში საქართველოს გასაბჭოების გამო შეწყდა ანაკლიელების მიმოსვლა თურქეთთან და რუმინეთ-ბულგარეთთან, რამაც ვაჭრობაზე უარყოფითად იმოქმედა. 1937 წელს კი პორტი საერთოდ გაუქმდა. პორტის აღდგენით ანაკლია გახდება თანამედროვე სავაჭრო ცენტრი და ოდესა-კონსტანცა-ვარნას გზით პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობა ექნება ევროპის ქვეყნებთან. თუკი პორტის მშენებლობასა და ფუნქციონირებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თურქეთსა და ამერიკა-ევროპაში მცხოვრები ლაზი ბიზნესმენები, პორტი ხელს შეუწყობს ლაზებისა და მეგრელების დამეგობრებას. ერთი მხრივ ჯერ ანაკლიასა და სამეგრელოში, შემდგომ კი - სრულიად საქართველოში ლაზების ისტორია და კულტურა ბევრი ჩვენგანისთვის იქნება ცნობილი. მეორე მხრივ კი ლაზები სამეგრელოს საშუალებით მთელ საქართველოს უფრო ახლოს გაიცნობენ. აუცილებელია მალანია-ესართია-ჯევაიშის მიერ დაწყებული პროექტების გაგრძელება და განვითარება. ასევე აუცილებელია დროდადრო „ანაობის“ სარფში და „კოლხობის“ ანაკლიაში ჩატარება და



მია აფშილავა | თამაზ კრავიშვილის ფოტო, 2019

ჰასან ჰელიმიშის ლექსებისა და ნახატების ანაკლიაში გამოფენა, ლაზური სამზარეულოს მასტერკლასები და ა. შ. ამისათვის აუცილებლად უნდა გააქტიურდეს ანაკლია-სარფს შორის არსებული ნათესაური კავშირები, რომელიც სამწუხაროდ მინავლებულია. ასევე უნდა მოეწყოს გასვლითი კონცერტები სარფსა და ანაკლიაში. ანაკლიის სკოლაში მეგრულთან ერთად აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ლაზური ენა და ამისათვის მოწვეულნი უნდა იქნან სარფის სკოლის პედაგოგები.

რადგან ენობრივ საკითხს შევხებით, უნდა ავლიწმინოთ რომ ქართველური ენები კვდომის პროცესშია. როგორც თურქეთში იკარგება ლაზური ენა, ისე საქართველოში იკარგება ლაზური, მეგრული და სვანური ენები. თურქეთის ლაზები აარსებენ კულტურის ცენტრებს და გამოსცემენ სახელმძღვანელოებს. მათ სკოლებში ლაზური ენის როგორც არჩევითი



საგნის სწავლება დასაშვებია. ლაზები სამწუხაროდ ლათინური ანბანის საფუძველზე სწავლობენ რის გამოც „ტ, ყ პ, ჰ, ც, ძ, წ, ხ“ ბგერებს ამბხინჯებენ, თავს ქართველად არ მიიჩნევენ და მეტიც, სამეგრელო ქართველებისგან დამონებული ჰგონიათ და ამის მაგალითად მხედრიონის სამარცხვინო ლაშქრობები მოჰყავთ, თუმცა ისტორიის ცოდნას რომ თავი დავანებოთ, ლაზებმა არც მხედრიონში მეგრელების ყოფნა იცინა და არც ლოთი ქობალას გვარდიის შესახებ სმენიათ რაიმე. თუ ჩვენ ლაზებთან ახლო ურთიერთობა გვსურს, მაშინ საქართველოს სკოლებში აუცილებლად უნდა დავეუშვათ ქართველური ენების შესწავლა. ნამდვილად არ მოისურვებს საქართველოსთან თუნდაც საქმიანი ურთიერთობის დამყარებას თურქეთის ისეთი ლაზი, რომელიც ხედავს რომ სახელმწიფო დონეზე არაფერი კეთდება პირველ რიგში, ლაზურისა და მისი მონათესავე მეგრულის, ასევე სვანური ენების დასაცავად. სარფის სკოლაში დაუკონებლივ უნდა დაიწყოს ლაზური ენის, ანაკლიაში კი ლაზურთან ერთად მეგრული ენის სწავლება. საერთოდაც, ლაზური ენა ცალკე საგნად უნდა ისწავლებოდეს სარფში, კვარიათსა და ანაკლიაში (ამისათვის სარფის სკოლის პედაგოგები უნდა მოიწვიონ), მეგრული სრულიად სამეგრელოს, სვანური კი სრულიად სვანეთის მასშტაბით და აგრეთვე დაბა ჯვარსა და ქვემო ქართლის სვანურ ნაწილში. გარდა ამისა, მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა ისწავლებოდეს ქართველური ენების ზოგადი კურსი, რათა დანარჩენმა ქართულმა საზოგადოებამ გაიაზროს თუ რამდენი საერთო აქვს მეგრულ-ლაზურსა და სვანურ ენებს ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებთან. ამით სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერებასაც ავამაღლებთ, ქართველურ ენებსაც გადავარჩინებთ და თურქეთის ლაზიც დაინახავს, რომ თურმე ქართული ანბანით მეგრულ-ლაზური ენის გამართულად შესწავლა სრულიად შესაძლებელია და მეტი ინტერესი გაუჩნდება საქართველოს კულტურისა და ისტორიის მიმართ. მეგრული, სვანური და ლაზური ენების სკოლაში შეუტანლობით გავახარებთ საქართველოს მტრებს და შინაურ სეპარატისტებს, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე რუსების წაქეზებით საქართველოს მცირე იმპერიად აცხადებენ და სამეგრელოს გამოყოფის ან ავტონომიზაციის აუცილებლობაზე საუბრობენ.

მართალია ანაკლიის ისტორიაში ლაზებს უდიდესი ადგილი უჭირავთ თუმცა ანაკლია მხოლოდ პორტი და ლაზების საცხოვრებელი ადგილი არ არის. სოფლის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას მეგრელები შეადგენენ. ანაკლიის მუსიკალური ფოლკლორისადმი მიძღვნილ კომპაქტ-დისკში მეგრული მრავალხმიანი სიმღერებიდან წარმოდგენილია მხოლოდ ლირიკული ნიმუშები. უანრული შეზღუდულობა ჩვენ ხელთ არსებული ჩანაწერების სიმწირემ გამოიწვია. სამაგიეროდ გამოცემის ღირსებას წარმოადგენს რამდენიმე მეგრული ერთხმიანი აკვნის ნანის, დატირების, სათამაშო ჰანგისა და შელოცვის შეტანა. გარდა დასაძინებელი ნანებისა არის საქანელაზე გასარწევი ჰანგიც „ოკვანწაია, ოსარსაია“.

რაც შეეხება სამგლოვიარო რეპერტუარს, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ, ტრადიციულ ერთხმიან ტირილთან ერთად არსებობდა საჩონგურო დატირება. 1960-იანი წლებიდან ტრადიციულ მეგრულ ნიმუშებთან ერთად ჩანს დოლისა და კლარნეტისგან შემდგარი ანსამბლი, ხოლო 1980-იანი წლებიდან კი კლავიატურისანი ელექტროსაკრავი „YAMAHA“. საჩონგურო ტირილი, ისიც მხოლოდ ერთ ხმაზე და საკრავის გარეშე ქალბატონისგან – კლარა ჭეჭიასგან ჩავიწერეთ. ძველი თაობის ანაკლიელებს კი ახსოვთ ბუბუ სიჭინავა-ჭეჭიას, კლარა ჭეჭიასა და კაკო ჩიქოვანის ტრიო, რომელიც ჩონგურის თანხლებით სამგლოვიარო სიმღერებს ასრულებდა. ამ საქმეს შემდგომ დამოუკიდებლად მისდევდა ნიურა სახეიშვილი.

საბედნიეროდ, მეგრული ტრადიციული ერთხმიანი ტირილი დღემდე ცოცხალია, თუმცა პანაშვიდები ძველებური წესით აღარ იმართება და დატირების ხვედრითი წილიც უფრო და უფრო უმნიშვნელო ხდება. ტირილის ძველი წესი შემდეგნაირია: ტირიან ძირითადად ქალები. ჯერ ერთი ტირის სიტყვებით, შემდეგ მეორე და ა. შ. კაცები უმეტესად ცრემლით ტირიან, მაგრამ თუ მიცვალებული მათთვის ძალიან ახლობელია, მაშინ დაშვებულია ხმით ტირილიც (შესრულების წესი ანალოგიურია). ანაკლიაში მამაკაცთა ხმით ნატირალის სამი ვარიანტი ჩავიწერეთ. ამ კუთხით განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ნოე ყორშიასთან შეხვედრა, რომელმაც დიდი გრძნობით

ჩაგვაწერინა ცოლისა და შვილის დატირება. სამწუხაროდ დატირების მთქმელები ნოე ყორშია და კარლო ლავგილავა გარდაცვლილები არიან.

თუ ადრე მიცვალებულს 10-12 დღე აჩერებდნენ, იმის გამო, რომ შორს მცხოვრები ნათესავიც მოსულიყო, დღეს უკვე 7-8 დღეში, ანდა უფრო მოკლე ხანშიც კრძალავენ.

საინტერესოა ნაყოფიერებასთან დაკავშირებული და გავრცელებული ჩვეულებები: 1) თუკი სამეგრელოს ხანგრძლივი გვალვები შეაწუხებდა, მაშინ მოსახლეობა, გააკეთებდა პატარა თოჯინას, თოჯინითა და საკლავით წავიდოდა მდინარის პირას, თოჯინას ჩააგდებდა მდინარეში და კიოდა „ვიიმე დაიხრჩო, ვინ დაიხრჩო, ნეტავ რა მოხდაო“. დაახლოებით ნახევარ საათში მართლაც გაწვიმდებოდა. თუკი წყალში ჩაგდებულ თოჯინას ბავშვები გაეკიდებოდნენ და ამოღებას დაუპირებდნენ, უფროსები უყვიროდნენ „არ ამოიღოთ, თორემ არ გაწვიმდებაო“; 2) როდესაც ყანური სამუშაოები იწყებოდა, ყოველ დილით გუგული „კუჰკუს“ იძახდა. ხალხური ჩვეულების მიხედვით გუგულის დაძახების დროს უკვე ყანაში უნდა ყოფილიყავი გასული, რათა დღე წარმატებული გქონოდა. როგორც კი გუგული „კუჰკუს“ დაიძახებდა, გლეხები „ფხაჩით, ბარგით“ უპასუხებდნენ და დღე ნაყოფიერი იქნებოდა. თუ გუგულის დაძახებისას საუზმეს და ყანაში წასვლას ვერ მიახრებდი, მაშინ გუგული გაჯობებდა და დღეც შესაბამისად უნაყოფოდ ჩაივლიდა; 3) საღამოობით ბავშვები ჭიამიას დაისვამდნენ ხელზე და უმღერდნენ: „ხვალ თუ კარგი ამინდი იქნება გაფრინდი, თუ არა და არ გაფრინდო“; 4) ახალმთვარეობისას ოჯახის უფროსი ან ბავშვები ახალმთვარეს ხურდა ფულს მიუშვერდნენ და ბარაქიანობას სთხოვდნენ.

სამეგრელოში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, არსებობს გველის ნაკბენის, მორიელის ნაკბენის, გათვალულის და ახალი წლის შელოცვები. სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ ორიოდ ნიმუშს აქვს მუსიკალური ინტონაცია.

ჩაწერილია ბავშვთა მიერ სათქმელი ჰანგი „წიწი-კვაკვა“, რომელსაც 3-4 ბავშვი თამაშობს. გოგო-ბიჭები ერთმანეთს მაჯებში ფრჩხილებს ჩაავლებენ

და ხელს ზევით-ქვევით აქანავებენ, ხოლო ლექსის დამთავრების შემდგომ ერთმანეთს უღიჭინებენ.

საბავშვო საკრავებიდან მთელ სამეგრელოში და მათ შორის ანაკლიაშიც გავრცელებულია სასტვენის, რომელსაც „ოშვიტინაიას“ უწოდებენ. მას ადრიან გაზაფხულზე როგორც ბიჭები, ისე გოგონებიც აკეთებენ. სასტვენის დასამზადებლად მხოლოდ თხმელა გამოიყენება. ხის ტოტს მოჭრიან, ტოტის ძირს დაამუშავებენ ხელით და მონიშნულ ადგილას ქერქს ააძრობენ. ტოტის გულში სტვენისთვის ერთ ნახვრეტს გაუკეთებენ და ქერქს უკან ჩამოაცვამენ. ზოგი ანაკლიელის ცნობით, მსხვილი სასტვენი არის „ობუტინაია“, თხელი კი „ოშვიტინაია“.

მადლობას მოვახსენებ ანაკლიაში ჩემ მასპინძელს დათა შელიას. კაცს, რომელიც ანაკლიელების მაჟორიტარი იყო ზუგდიდის საკრებულოში და დაუზარებლად იღწვოდა სოფლის ეკონომიკური და სულიერი აღორძინებისთვის. ის მოწადინებულია რომ ანაკლიაში ოფიციალურად არსებობდეს ლაზების ქუჩა, თუმცა მისი და სხვა ანაკლიელების მოწადინება საქმეს არ შველის. 2019 წლის ნოემბერში ორდე დგებუადის ქუჩაზე მცხოვრებმა ლაზებმა და მეგრელებმა სათანადო ხელმოწერებით მოითხოვეს სახელის შეცვლა და ლაზების ქუჩის დარქმევა. წერილი ზუგდიდის საკრებულოში შევიდა ანაკლიის იმდროინდელი რწმუნებლის გელა ლემონჯავას სახელით, თუმცა ძველმა საკრებულომ საკითხი გაუგებარი მიზეზით ვერაფრით ვერ გადაწყვიტა. თუკი განმუხურსა და ზუგდიდში არსებობს „ლაზის ქუჩა“, სადაც ლაზებს არ უცხოვრიათ, გაუგებარია თუ რატომ არ უნდა არსებობდეს ამგვარი ქუჩა ანაკლიაში. იმედია ზუგდიდის ახალი საკრებულო დროულად გადაწყვეტს ამ საკითხს. ასევე იმედს ვიტოვებ, რომ შესაბამისი ორგანოები, მათი კომპეტენციების ფარგლებში დროულად გადაჭრიან ანოტაციაში დასმულ სხვა საკითხებსაც.

მადლობა ჩემგან დისკის ბუკლეტის რედაქტორს მაია ლამბაშიძეს, კომპანია „პეტიტს“ და დიზაინერ-დამკაბადონებელს გიორგი კვიციანიას.

ასევე მადლობას ვუძღვნი თითოეულ იმ ანაკლიელს, რომელმაც ჩაგვაწერინა მეგრული და ლაზური სიმღერები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მამაჩემი თამაზ კრავეიშვილი, რომელიც, როგორც ყოველთვის დაუზარებლად მენხმარებოდა ფოტო-ვიდეო გადაღებაში. რომ არა ის, ჩემი ბევრი ექსპედიცია (არამარტო ანაკლიაში) ვერ შედგებოდა და ვერც მეცნიერი გავხდებოდი.

ამგვარია ანაკლიის ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა. ვისაც დაწვრილებით აინტერესებს ლაზური მუსიკალური ფოლკლორი, მას ვურჩევ გაეცნოს ჩემ მონოგრაფიას „საქართველოს მოწყვეტილი კუთხეებისა და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები“, თანდართული კომპაქტ-დისკით.

გიორგი კრავეიშვილი
2021 წ.



დისკის აღწერილობა

#01-51 მეგრული და #52-63 ლაზური ნიმუშები

1. „თემ იღბალი“. ასრულებენ ანაკლიის ანსამბლის წევრები. დამწყები თინათინ შენგელია და გრისკო ესართია, მოძახილი - ქსენია ქობალია. ჩონგურზე უკრავს ქსენია ქობალია. ჩაწერილია სავარაუდოდ 1950-იანი წლების ბოლოს.

2. „აშო ჩელა“ ჩონგურის თანხლებით. ჩონგურზე დამკვრელი და დამწყები - ნიურა სახეიშვილი, მოძახილი თინათინ (თამილა) სიჭინავა. ჩაწერილია 2019 წელს. ჩამწერი - გიორგი კრავიციშვილი.

3. „ასე ჩონგური“ ჩონგურის თანხლებით. ჩონგურზე დამკვრელი და დამწყები - ნ. სახეიშვილი, მოძახილი თ. სიჭინავა. ჩაწერილია იქვე.

4. „დიდოუ ნანა“ ჩონგურის თანხლებით. ასრულებს ნ. სახეიშვილი. ჩაწერილია იქვე.

5. „მუშ მასქვამა ანაკლია“ ჩონგურის თანხლებით. უკრავს ნ. სახეიშვილი. მღერიან: მიმონა ანთია (დამწყები), რემიკო ჩუხუა (ბანი). დანარჩენ შემსრულებელთა ვინაობა უცნობია. ჩაწერილია „ანაობის“ დღესასწაულზე. სავარაუდოდ 1990-2000-იანი წლების მიჯნა.

6. გაშაირება ჩონგურის თანხლებით. უკრავს ნ. სახეიშვილი. მღერიან: ზვინა შამათავა, მ. ანთია და რ. ჩუხუა (ბანი). ჩაწერილია იქვე.

7. სიმღერა ანაკლიაზე ფანდურის თანხლებით. ასრულებს ლიანა შელია. ჩაწერილია 2013 წელს. ჩამწერი - დათა შელია.

8. „ნანა ოუ ნანა“ ფანდურის თანხლებით. ასრულებს ნ. სახეიშვილი. ჩაწერილია 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავიციშვილი.

9. „ოუ ნანა“ ფანდურის თანხლებით. ასრულებს ნ. სახეიშვილი. ჩაწერილია იქვე.

10. „სკანი ნინა მარგალური“ ფანდურის თანხლებით. მღერიან ნიურა სახეიშვილი (დამწყები) და ნინო ლორჩოშვილი (მოძახილი). ჩაწერილია იქვე.

11. სიმღერა ფანდურის თანხლებით. ასრულებს ნ. სახეიშვილი. ჩაწერილია იქვე.

12. ბუბუ სიჭინავა-ჭყვიას სიმღერა „მშვიდობაზე“ ჩონგურის თანხლებით. ასრულებს ავტორი. ჩაწერილია 1990-იან წლებში. ჩამწერი - ლონდა ახალია.

13. ბუბუ სიჭინავა-ჭყვიას სიმღერა „საბჭოთა კავშირზე“ ჩონგურის თანხლებით. ასრულებს

ავტორი. ჩაწერილია იქვე.

14. „სკან გოლუაფირ სკანი დიდა“ ასრულებს ნ. სახეიშვილი. ჩაწერილია 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

15. „ვარაიდა“ ჩონგურის თანხლებით. ასრულებს ნ. სახეიშვილი. ჩაწერილია იქვე.

16. „სკანი ნინა მარგალური“ გიტარის თანხლებით. დამწყები თამუნა ჭითაშვილი. გიტარაზე უკრავს და მეორე ხმას უბნება გული მაჭახელიძე. ჩაწერილია 2001 წელს „ბოლო ზარის“ ღონისძიებაზე.

17. „ვა გიორქო მა“. ასრულებენ მარინა მალანია (დამწყები), ნესტან სვანიძე (მოძახილი) და გული მაჭახელიძე (ბანი). ჩაწერილია 2001 წელს ქალბატონი გულის დაბადების დღეზე.

18. მგურული სიმღერების პოპური. გიტარაზე უკრავს და მეორე და ზოგჯერ მესამე ხმას მღერის გული მაჭახელიძე. მეორე ხმას ასევე მღერის რუსუდან სართანია. პირველი ხმა - ლია ყორშია. დანარჩენი ბანები - ნიურა სახეიშვილი, ემა აბსანძე და მარინა მალანია. ჩაწერილია 2003 წლის ანაობაზე.

19. „კუპკუ“. ასრულებს მზია ჭანტურია. ჩაწერილია 2021 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

20. კუპკუ“. ასრულებს მაია ჩარგაზია. ჩაწერილია იქვე.

21. „თუთა ახალ“ (ახალი მთვარე). ასრულებს მ. ჩარგაზია. ჩაწერილია იქვე.

22. „ართი კოჩი“. ასრულებენ ქემალ და ხატიჯე ქვაქულოღლები. ჩაწერილია ბათუმში 2018 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

23. „მაფშალია“. ასრულებს სანეი მოლაოღლი. ჩაწერილია ბათუმში 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

24. „ასე ჩონგური“. ასრულებენ: ომარ გაბელია (დამწყები). მეორე ხმას ასევე მღერის დემურ ალაზადე-ქართველიშვილი. მოძახილი თახსიმ ალაზადე-ქართველიშვილი და ბანი იგორ რაზმაძე. ჩაწერილია 1997 წელს ბატონი თახსიმის დაბადების დღეზე.

25. „მა დო ჩქიმი არაბა“. ასრულებს ნოე ყორშია. ჩაწერილია 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

26. აკვნის ნანა. ასრულებს მაია აფშილავა. ჩაწერილია 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

27. აკვნის ნანა. ასრულებს ეთიკო გულუა. ჩაწერილია იქვე.

28. აკვნის ნანა. ასრულებს სულბეი სოქთოღლი. ჩაწერილია იქვე.

29. შვილის დატირება. ასრულებს ნათიკო ხვინია. ჩაწერილია იქვე.

30. დედის დატირება. ასრულებს მაია აფშილავა. ჩაწერილია იქვე.

31. დედის დატირება. ასრულებს კლარა ჭეჭია. ჩაწერილია იქვე.

32. დედის დატირება. საჩონგურო ვარიანტი. ასრულებს კ. ჭეჭია. ჩაწერილია იქვე.

33. ძმის დატირება პანაშვიდზე. ასრულებს ნეოლინა სოქთოღლი. ჩაწერილია 2021 წელს. გ. კრავეიშვილის თხოვნით. ჩამწერები უნა და შორენა სოქთოღლები.

34. დედისა და ძმის დატირება. ასრულებს ს. სოქთოღლი. ჩაწერილია 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

35. ცოლის დატირება. ასრულებს ნ. ყორშია. ჩაწერილია იქვე.

36. შვილის დატირება. ასრულებს ნ. ყორშია. ჩაწერილია იქვე.

37. შვილის დატირება. ასრულებს კარლო ლაგვილავა. ჩაწერილია იქვე.

38. „წიწი-კვაკვა“. ასრულებენ მაია ჩარგაზია, ნონა ჩარგაზია და თედო დარასელია. ჩაწერილია იქვე.

39. „წიწი-კვაკვა“. ასრულებს ხვინა შამათავა. ჩაწერილია 2021 წელს. იგივე ჩამწერი.

40. „ოკვანწია-ოსარსაია“ (აიწონა-დაიწონა). ასრულებს უნა ცხადაია. ჩაწერილია 2021 წელს. იგივე ჩამწერი.

41. „ოკვანწია-ოსარსაია“ (აიწონა-დაიწონა). ასრულებს მ. აფშილავა. ჩაწერილია 2019 წელს. იგივე ჩამწერი.

42. „ტაროზ მატროზია“ (ჭიამაიაზე). ასრულებს ვაჟა სალია. ჩაწერილია 2021 წელს. გიორგი კრავეიშვილის თხოვნით ჩაიწერა ლევან სალიამ.

43. „ტაროზ მატროზია“ (ჭიამაიაზე). ასრულებს უ. ცხადაია. ჩაწერილია 2021 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.

44. ამობურცულის შელოცვა. ასრულებს ბელა მიქავა. ჩაწერილია 2019 წელს. იგივე ჩამწერი.

45. გათვალულის შელოცვა. ასრულებს კ. ჭეჭია. ჩაწერილია იქვე.

46. მორიელის შელოცვა. ასრულებს ე. გულუა. ჩაწერილია იქვე.

47. გასიებულის შელოცვა. ასრულებს ნ. ყორშია. ჩაწერილია იქვე.

48. წიწილების დაძახება. ასრულებს კ. ჭეჭია. ჩაწერილია იქვე.

49. ქათმების გაყრა. ასრულებს კ. ჭყვია. ჩაწერილია იქვე.
50. ღორის მოყვანა. ასრულებს იური არჩაია. ჩაწერილია იქვე.
51. ძალი რომ ღორს გაეკიდოს. ასრულებს კახა ყორშია. ჩაწერილია იქვე.
52. „ნანა სკან ქარმატეს რენ“. ასრულებს იგორ რაზმაძე. ჩაწერილია იქვე.
53. „სარფი მოლელი“. ასრულებს ბ. მიქავა. ჩაწერილია იქვე.
54. „სარფი ჩქინის“. ასრულებს ს. მოლაოღლი. ჩაწერილია ბათუმში 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.
55. „იაღმურ იაღარ“ თურქულენოვანი ლაზური სიმღერა. ასრულებს ს. მოლაოღლი. ჩაწერილია იქვე.
56. „სარფი მოლენი“ გიტარის თანხლებით. სოლისტი და გიტარაზე დამკვრელი გ. მაჭახელიძე. ჩაწერილია 2003 წლის „ანაობის“ დღესასწაულზე.
57. „სარფი მოლენი“. ასრულებენ ანაკლიის სკოლის მოსწავლეები. ჩაწერილია „ანაობის“ დღესასწაულზე. სავარაუდოდ 1990-2000-იანი წლების მიჯნა.
58. „ფურტუნაშენ გეველუ“. ასრულებს ანაკლიის სკოლის მოსწავლეთა გუნდი „ლაზიკა“ (ხელმძღვანელი თინათინ სიჭინავა). სოლისტები ელენე ჭყვია და გიორგი ფარულავა. ჩაწერილია 2018 წელს ზუგდიდის ერთ-ერთ ღონისძიებაზე.
59. „რაკანის მოთ გელახე“. ასრულებს ქემალ ქვაქულოღლი. ჩაწერილია ბათუმში 2018 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.
60. „ჭუმანი შენ ახამიშა“. ასრულებს ხატიჯე ქვაქულოღლი. ჩაწერილია ბათუმში 2019 წელს. ჩამწერი - გ. კრავეიშვილი.
61. „უჯუზინ დორთთე“ თურქულენოვანი ლაზური სიმღერა. ასრულებს ნაჯიე ქვაქულოღლი. ჩაწერილია სარფში 1983 წელს. ჩამწერი - ზურაბ თანდილავა. ინახება ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის არქივში.
62. „ზენის ვორტი“. ასრულებს ნ. ქვაქულოღლი. ჩაწერილია იქვე.
63. „ზექიე“. ასრულებს ნ. ქვაქულოღლი. ჩაწერილია იქვე.

* გარეკანზე გამოსახულია ანაკლიელი ლაზის გიორგი ოდაბაშოღლის მიერ დამზადებული სავაჭრო გემის მაკეტი. სავარაუდოდ ასეთი გემები შემოდიოდნენ ანაკლიის პორტში.



ანაკლია-განმუხურის საფეხმაკლო ხიდი - აშენებულია 2011 წელს



ანაკლიის ციხე - აგებულია 1731 წელს | დათა შელიას ფოტო, 2021